საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დრაქმა

დრაქმა, (ბერძნ. – Drachmē), ძვ. ბერძნული მასისა და ფულის ერთეული (მასა – 4,366 გ), ვერცხლის მონომეტალიზმზე დამყარებული სამონეტო სისტემების ძირითადი ნომინალი. იჭრებოდა ძვ. წ. VI ს-იდან. აქვს დანაყოფები: ტრიობოლი ანუ ჰემიდრაქმა (დის 1/2), დიობოლი (დ-ის 1/3) და სხვ.

აგრეთვე დიდი ნომინალებიც: დეკადრაქმა (10-დრაქმიანი), ტეტრადრაქმა (4-დრაქმიანი), დიდრაქმა (2-დრაქმიანი). დ. ფართოდ იყო გავრცელებული მიმოქცევაში, დიდი რაოდენობით გვხვდება არქეოლ. გათხრების დროს საქართვ. სხვადასხვა კუთხეში.

ლიტ.: З о г р а ф А. Н., Античные монеты, М.–Л., 1951 (Материалы и исследования по археологии СССР, в. 16).

გ. დუნდუა